



საჯარო სამართლის იურიდიული პირი-

განათლების ხარისხის განვითარების
ეროვნული ცენტრის დირექტორის
ბრძანება № 622/ი

10 07 2018წ.

ქ. თბილისი

მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის
დარგობრივი მახასიათებლის დამტკიცების შესახებ

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) დირექტორის მოადგილის 2018 წლის 05 ივლისის №870398 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 47² მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/5 ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს“ (დანართი №3) პირველი მუხლის მე-4 პუნქტისა და მე-3 მუხლის მე-9 პუნქტის, „განათლების მიმართულების უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოს შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ცენტრის დირექტორის 2017 წლის 13 ოქტომბრის №655 ბრძანების, ცენტრის დირექტორის 2017 წლის 16 მარტის №194 ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოების დებულების“ მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/5 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-3 მუხლის „გ“ ქვეპუნქტისა და მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ და „ნ“ ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებელი ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.
2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებელი ამოქმედდეს 2018 წლის 01 ოქტომბრიდან.
3. დაევალოს ცენტრის საქმისწარმოების სამმართველოს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

დირექტორი


თამარ სანიკიძე